# 02 OCTOMBRIE
# RUGĂCIUNEA
# SF.IERARH-MUCENIC CIPRIAN, EPISCOPUL ANTIOHIEI PISIDIEI
# SF.MUCENIŢE IUSTINA DE LA ANTIOHIA PISIDIEI

## საველრებელი ლოცვა

ჲ, წმიდაო, სათნო-მყოფელო ღუთისაო, მღუდელ-მოწამეო კვიპრიანე, მსწრაფლ-შემწეო და მლოცველო ყოველთა შენდამი მოლტოლვილთათჳს, მიითუალე ჩუენ უღირსთაგან სადიდებელი ესე, ევედრე უფალსა ღმერთსა ჩუენსა, რათა მოგუმადლოს ჩუენ, უძლურებათა შინა განმტკიცებად, მწუხარებათა შინა ნუგეშინისცემად, და მოგუანიჭოს ჩუენ ყოველი სარგებელი ცხოვრებისა ჩუენთათჳს აღავლინე უფლისა მიმართ მრავალ-ძალი ლოცუად შენი, რათა დაგვიცვას ჩუენ ყოველთაგან შეცოდებათა, გვასწაოს ჩუენ ჭეშმარიტი სინანული, გვიხსნას ჩუენ ტყუეობისაგან ეშმაკთა და ბოროტთა სულთა მანქანებათაგან და ყოველთა მაჭირვებელთა ჩუენთაგან. გვეყავნ ჩუენ მცუელად და შეურყეველად, ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთაგან, მოგუანიჭე ჩუენ განსაცდელსა შინა მოთმინებად და ჟამსა სიკუდილისა ჩუენისასა შეწევნად მოგვივლინე მაწამებელთა ჩუენთაგან, რომელნი შეგვემთხვივნეს ჰაერთა შინა საზვერეთასა, რათა შენს მიერ ძღუანებულნი, მივიწივნეთ ზეციურისა იერუსალიმსა, და ცათა სასუფეველსა შინა ღირს ვიქმნეთ

ყოველთა წმიდათა თანა დიდებად ყოვლად-წმიდისა სამებისა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.